



ყოველთვიური ეკონომიკური მიმოხილვა*

თვის მნიშვნელოვანი მაჩვენებლები

- 2022 წლის სექტემბერში*, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა 8.8% შეადგინა. ალსანიშნავია, კანდემიამდელ, 2019 წელთან შედარებით ეკონომიკის ზრდის მაღალი ტემპები აღინიშნება.
- ოქტომბერში სამომხმარებლო ფასების წლიური ინფლაცია 10.6%-ს გაუტოლდა, რაც ძირითადად განპირობებულია სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფზე ფასების მნიშვნელოვანი ზრდით.
- სექტემბერში*, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები 29.2%-ით, ხოლო ხარჯები 8.6%-ით გაიზარდა.
- სექტემბერში* კომერციული ბანკების მიერ გაცემულმა სესხებმა 42.1 მლრდ ლარი შეადგინა, მათგან ყველაზე მეტი გაცემულია ვაჭრობისა და მრეწველობის დარგში.
- იანვარ-სექტემბერში* ექსპორტმა 37.4%-ით, ხოლო იმპორტმა 34.4%-ით მოიმატა და სავაჭრო ბრუნვამ 13,612 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.
- სექტემბერში* გზავნილების ძირითად ნყაროს რუსეთი (გზავნილების მთლიანი ოდენობის 44.9%) და ევროკავშირის ქვეყნები (23.8%) წარმოადგენენ.
- ოქტომბერში მთლიანმა საერთაშორისო რეზერვებმა 4,386 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია წინა წლებთან შედარებით.
- სექტემბერში*, წინა თვესთან შედარებით, დეკორატიული დოლარიზაციის მაჩვენებელი გაიზარდა, სესხებზე კი შემცირდა.
- ოქტომბერში, წინა თვესთან შედარებით, ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლართან მიმართებით 2.3%-ით, ხოლო ევროს მიმართ 3.6%-ით გამყარების ტენდენციას ავლენს.


მაკროეკონომიკური ანალიზისა და საგადასახადო პოლიტიკის განყოფილება

ელ-ფოსტა: pbo@parliament.ge

*სტატისტიკური ინფორმაციის გამომყვანების კალენდრის მიხედვით ზოგიერთი მონაცემი წარმოდგენს წინა თვის ცვლადს



1. რეალური და ფისკალური სექტორი





სექტემბერში* დადებითი ეკონომიკური ზრდა 8.8%-ის ნიშნულზე დაფიქსირდა.

წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 2022 წლის სექტემბერში*, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა 8.8% შეადგინა.


პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, 2022 წლის სექტემბერში, წინა თვესთან შედარებით, რეალური მშპ-ის ზრდის ანუალიზებულმა ტემპმა¹ 3.0% შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ ბოლო თვეების განმავლობაში პანდემიამდელ, 2019 წელთან შედარებით ეკონომიკის ზრდის მაღალი ტემპები აღინიშნება.




ოქტომბერში სამომხმარებლო ფასების წლიური ინფლაცია 10.6%-ს შეადგენს.

წინა წლის ოქტომბერთან მიმართებით, 2022 წლის ოქტომბერში ინფლაციის დონე 10.6%-ით განისაზღვრა, ანუ მიზნობრივი ინფლაციის 3.0%-იან მაჩვენებელზე მეტი. წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების დინამიკამ სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებზე, აგრეთვე ტრანსპორტზე, საცხოვრებელზე, წყალზე, ელ. ენერჯიაზე, აირზე, სასტუმროებზე, კაფეებზე, რესტორნებზე და სხვა. ოქტომბერში საბაზო ინფლაცია (სურსათის, ენერჯომატარებლების, სიგარეტის ფასების გარდა, რომლებიც მაღალი მერყეობით ხასიათდებიან) 7.3%-ით განისაზღვრა. 2022 წლის სექტემბერში მშპ-ის წლიურმა საპროგნოზო დეფლატორმა 11.3% შეადგინა.



¹ წინა თვესთან შედარებით ანუალიზებული რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი რეალური მშპ-ის მონაცემების საფუძველზე სეზონურობისა და შემთხვევითი რყევების ამორციხვით დგინდება და წარმოადგენს შესწორებული ტრენდის განვლიერებულ მაჩვენებელს.


ნაერთი ბიუჯეტის მთლიანი სალდო
(მლნ ლარი)




სექტემბერში* ნაერთი ბიუჯეტის უარყოფითი მთლიანი სალდო დაფიქსირდა.

2022 წლის სექტემბერში*, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები 29.2%-ით, ხოლო ხარჯები 8.6%-ით გაიზარდა. აღნიშნულ პერიოდში ნაერთი ბიუჯეტის დადებითი საოპერაციო სალდო 367.7 მლნ ლარით, ხოლო უარყოფითი მთლიანი სალდო 199.4 მლნ ლარით განისაზღვრა.

შემოსავლები და ხარჯები
(მლნ ლარი)



ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემული სესხები
(მლნ ლარი)




სექტემბერში*, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ეროვნულ ეკონომიკაზე ლარში გაცემული სესხები გაიზარდა, ხოლო უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები შემცირდა.

წინა წლის სექტემბერთან მიმართებით, 2022 წლის სექტემბერში* კომერციული ბანკების მიერ გაცემულმა სესხებმა 5.0%-ით მოიმატა და 42.1 მლრდ ლარი შეადგინა. მათ შორის, ლარში გაცემული სესხები 18.5%-ით გაიზარდა, ხოლო უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები 8.0%-ით შემცირდა. აღსანიშნავია, რომ მთლიანი სესხების ნახევარზე მეტი (54.5%) შინამეურნეობებზე მოდის.


რაც შეეხება გაცემულ სესხებს საქმიანობის სახეების მიხედვით, ყველაზე მეტი - 22.2% გაცემულია ვაჭრობის დარგში, 21.8% - მრეწველობის, 15.9% - მშენებლობის, 13.2% - უძრავი ქონების ოპერაციების, 7.8% - სასტუმროებისა და რესტორნების დარგში.

სესხები საქმიანობის სახეების მიხედვით
(ნაკადები)



2. საგარეო სექტორის ინდიკატორები

საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლები
(მლნ აშშ დოლარი)
იანვარი-სექტემბერი




იანვარ - სექტემბერში*, წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით, გაიზარდა როგორც საქონლის ექსპორტი, ასევე იმპორტი.


კერძოდ, ექსპორტმა 37.4%-ით, ხოლო იმპორტმა 34.4%-ით მოიმატა, რაც ძირითადად სავაჭრო ბრუნვის გაზრდით არის გამოწვეული, რამაც (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 13,612 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 35.3%-ით გაიზარდა. ამ პერიოდში ექსპორტის წილი საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 30.1%-ით განისაზღვრა. უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნებიდან ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა აღინიშნა: პერუში (932.6%-ით, აზოტოვანი სასუქების ექსპორტის მკვეთრი ზრდის ხარჯზე), აგრეთვე ყაზახეთში (150.5%-ით), სომხეთში (114.0%-ით), აშშ-ში (102.7%-ით), ბულგარეთში (100.7%-ით). ამ პერიოდში შემცირდა ექსპორტი უკრაინაში (8.1%-ით).

საექსპორტო საქონლის მიხედვით განსაკუთრებული ზრდა დაფიქსირდა ელექტროენერჯის (467.9%-ით), აზოტოვანი სასუქების (216.6%-ით), ძვირფასი ლითონების მადნების (113.5%-ით), მსუბუქი ავტომობილების (77.6%-ით), ფეროშენადნობის (36.4%-ით), სპილენძის მადნების (31.8%-ით), ღვინის (3.9%-ით) ჯგუფებში.

უმსხვილესი საექსპორტო საქონელი
(იანვარი - სექტემბერი)




ფულადი გზავნილები (%)
სექტემბერი



სექტემბერში* ფულადი გზავნილები მნიშვნელოვნად გაიზარდა.

წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 2022 წლის სექტემბერში* საქართველოში ფულადი გზავნილები 84.6%-ით გაიზარდა და 387.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. სექტემბერში* გზავნილების ძირითად წყაროს რუსეთი (გზავნილების მთლიანი ოდენობის 44.9%) და ევროკავშირის ქვეყნები (23.8%) წარმოადგენენ. წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით გზავნილების მოცულობამ მნიშვნელოვნად მოიმატა ბელარუსიდან (1,311.8%-ით), სომხეთიდან (677.4%-ით), ყირგიზეთიდან (417.0%-ით), რუსეთიდან (351.0%-ით), უზბეკეთიდან (323.4%-ით), ტაჯიკეთიდან (320.3%-ით), გაერთიანებული სამეფოდან (123.5%-ით), ყაზახეთიდან (72.2%-ით), ნიდერლანდებიდან (45.1%-ით) და სხვა.

ფულადი გზავნილები
(მლნ აშშ დოლარი)
იანვარი - სექტემბერი




2022 წლის ოქტომბერში საერთაშორისო რეზერვებმა 4,386 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლებთან შედარებით ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.


2022 წლის ოქტომბერში საერთაშორისო რეზერვების მოცულობა 4,386 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა, ანუ 2021 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 10.8%-ით, წინა თვესთან მიმართებით კი 1.7%-ით მეტი.

2022 წლის ოქტომბრის თვეში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სავალუტო ინტერვენციები არ განხორციელებულა.

მთლიანი საერთაშორისო რეზერვები
(მლნ აშშ დოლარი)



საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტები და შემოსავლები საერთაშორისო მოგზაურობიდან



2022 წლის ოქტომბერში მნიშვნელოვნად გაიზარდა როგორც საერთაშორისო მოგზაურების, ასევე საერთაშორისო ვიზიტორების ვიზიტები.


2022 წლის ოქტომბერში საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტების რაოდენობამ 498,477 შეადგინა, რაც 125.9%-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტები მოიცავს საერთაშორისო ვიზიტორების ვიზიტებსაც, რომელიც ოქტომბრის თვეში 442,603 იყო (ზრდა წინა წლის ოქტომბრის ანალოგიურ მაჩვენებელთან 115.2%). ოქტომბრის თვეში ყველაზე მეტი საერთაშორისო ვიზიტორის ვიზიტი განხორციელდა რუსეთიდან (109,158. ზრდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 274.4%-ით), თურქეთიდან (81,033. ზრდა 126.2%-ით), სომხეთიდან (72,877. ზრდა 277.6%-ით),

2022 წლის სექტემბერში* შემოსავლებმა საერთაშორისო მოგზაურობიდან 375.6 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 132.1%-ით მეტია 2021 წლის სექტემბრის თვის ანალოგიურ მაჩვენებელზე.


3. მონეტარული სექტორის ინდიკატორები

სექტემბერში*, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, სარეზერვო ფულის მასა ზრდის ტენდენციით ხასიათდება.

წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 2022 წლის სექტემბერში* სარეზერვო ფულის მასა 7.8%-ით გაიზარდა. ფულის M2 აგრეგატი 3.8%-ით მოიმატა, ხოლო M3 აგრეგატის ზრდის ტემპი 3.6%-ს გაუტოლდა. ოქტომბერში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, სამომხმარებლო ფასების ინფლაციამ 10.6% შეადგინა.




დეპოზიტები და დოლარიზაციის კოეფიციენტი
(მლნ ლარი, %)




სექტემბერში*, წინა თვესთან შედარებით, დეპოზიტებზე დოლარიზაციის მაჩვენებელი გაიზარდა, სესხებზე კი შემცირდა.

2022 წლის სექტემბერში* დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელი 2.40%-ული პუნქტით გაიზარდა და 59.8%-ით განისაზღვრა, სესხებზე დოლარიზაციის მაჩვენებელმა კი 1.22%-ული პუნქტით მოიკლო და 45.1% შეადგინა. წინა თვესთან მიმართებით, 2022 წლის სექტემბერში* ეროვნული ვალუტით განთავსებული დეპოზიტები 11.7%-ით, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტების მოცულობა 2.5%-ით შემცირდა.

სესხები და დოლარიზაციის კოეფიციენტი
(მლნ ლარი, %)



საბაზრო საპროცენტო განაკვეთები სესხებსა და დეპოზიტებზე (%)



სექტემბერში*, წინა თვესთან მიმართებით, საპროცენტო განაკვეთი დეპოზიტებზე 0.2%-ული პუნქტით, ხოლო სესხებზე 0.6%-ული პუნქტით შემცირდა.

2022 წლის სექტემბერში* საბაზრო საპროცენტო განაკვეთმა სესხებზე 12.9% შეადგინა, ხოლო დეპოზიტებზე 7.9%-ით განისაზღვრა. საპროცენტო განაკვეთის სპრედმა (სხვაობა სესხებსა და დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთებს შორის) 2022 წლის სექტემბრის* მდგომარეობით 5.0% შეადგინა, 0.5%-ული პუნქტით ნაკლები წინა წლის სექტემბერთან შედარებით.


საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 2022 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილებით რეფინანსირების განაკვეთი უცვლელად (11.0%) დატოვა.

ოქტომბერში, წინა თვესთან მიმართებით, ლარის კურსი როგორც აშშ დოლარის, ასევე ევროს მიმართ გამყარების ტენდენციას ავლენს.

2022 წლის ოქტომბერში, წინა თვესთან შედარებით, ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2.3%-ით, ევროს მიმართ 3.6%-ით, ხოლო თურქულ ლირასთან მიმართებით 3.9%-ით გამყარდა. ამ პერიოდში გამყარდა ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსიც. რაც შეეხება შედარებას გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, 2022 წლის ოქტომბერში ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 12.7%-ით, ევროს მიმართ 33.3%-ით, თურქული ლირას მიმართ კი 128.0%-ით გამყარდა.

აღსანიშნავია, რომ ბოლო თვეებში მნიშვნელოვნად მოიმატა საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების, ფულადი გზავნილების მოცულობამ, ასევე ტურიზმიდან და ექსპორტიდან მიღებულმა შემოსავლებმა, რამაც, წინა წელთან შედარებით, დადებითი გავლენა იქონია ლარის კურსის გამყარებაზე.


ლარის გაცვლითი კურსის ინდექსები (ინდექსის ზრდა ნიშნავს ლარის გამყარებას, კლება - გაუფასურებას)




4. რეგიონული მიმოხილვა

ოქტომბერში, რეგიონის ქვეყნებში, გარდა თურქეთისა, სამომხმარებლო ფასების ინფლაცია დაახლოებით ერთნაირი დინამიკით ხასიათდება.

კერძოდ, 2022 წლის ოქტომბერში თურქეთში წლიურმა ინფლაციამ 85.5% შეადგინა. შედარებით დაბალი იყო ინფლაციის დონე სომხეთში (9.5%). რაც შეეხება აზერბაიჯანსა და რუსეთს, 2022 წლის სექტემბრის* მდგომარეობით, სამომხმარებლო ფასები წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით აზერბაიჯანში 15.6%-ით, ხოლო რუსეთში 13.7%-ით გაიზარდა.



გაცვლითი კურსის წლიური ცვლილება
ოქტომბერი, 2022



ოქტომბერში რეგიონის ქვეყნების ვალუტების გაცვლითი კურსების ნაწილი აშშ დოლართან მიმართებაში გამყარების, ხოლო ნაწილი გაუფასურების ტენდენციას ავლენს.

კერძოდ, 2022 წლის ოქტომბერში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, აშშ დოლართან მიმართებაში გამყარდა სომხური დრამი (19.3%-ით), რუსული რუბლი (16.2%-ით) და აზერბაიჯანული მანათი (0.2%-ით), ხოლო თურქული ლირა (50.6%-ით) გაუფასურდა.

გამოყენებული მონაცემების წყარო:

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
3. საქართველოს ეროვნული ბანკი
4. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შემთავამებელი ცხრილები

ცხრილი N1. ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები

		ოქტ 21	ნოე 21	დეკ 21	იან 22	თებ 22	მარ 22	აპრ 22	მაი 22	ივნ 22	ივლ 22	აგვ 22	სექ 22	ოქტ 22
რეალური სექტორი	მშპ-ს ზრდის ტემპი (%)	6.9	12.0	9.6	18.0	14.6	10.6	2.6	11.6	7.2	9.7	10.5	8.8	
	დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი (%)	25.6	32.6	31.2	39.8	27.3	24.4	11.7	25.3	20.4	21.9	23.0	19.5	
მონეტარული სექტორი	ინფლაცია (%)	12.8	12.5	13.9	13.9	13.7	11.8	12.8	13.3	12.8	11.5	10.9	11.5	10.6
	მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი (%)	10.0	10.0	10.5	10.5	10.5	11.0	11.0	11.0	11.0	11.0	11.0	11.0	11.0
	დეპოზიტების დოლარიზაცია (%)	0.6	0.6	0.6	0.6	0.6	0.6	0.6	0.6	0.6	0.6	0.6	0.6	
	სესხების დოლარიზაცია (%)	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	
საგარეო სექტორი	გაცვლითი კურსი (ლარი)	3.1	3.1	3.1	3.1	3.0	3.2	3.1	3.0	3.0	2.8	2.8	2.9	2.8
	გზავნილები (ათასი აშშ დოლარი)	206,691.2	207,337.5	229,487.0	168,840.5	183,418.8	193,065.3	308,140.1	505,708.1	427,354.6	306,023.4	334,266.1	387,177.7	
	ექსპორტი (მლნ აშშ დოლარი)	410.9	430.4	419.5	331.3	429.0	411.4	415.7	522.6	448.5	542.2	473.3	523.2	
	იმპორტი (მლნ აშშ დოლარი)	936.2	1,033.4	1,050.8	801.0	1,019.2	925.9	992.7	1,180.7	1,108.9	1,173.5	1,228.8	1,084.2	
	სავაჭრო ბალანსი (მლნ აშშ დოლარი)	-525.3	-603.0	-631.3	-469.6	-590.1	-514.5	-577.0	-658.1	-660.5	-631.4	-755.5	-561.1	
	საერთაშორისო რეზერვები (მლნ აშშ დოლარი)	3,959.0	3,928.5	4,272.1	4,078.1	3,992.9	4,030.6	3,826.4	3,855.2	3,922.4	4,156.7	4,260.7	4,313.1	4,385.6
ფინანსური სექტორი	შემოსავლები (მლნ ლარი)	1,278.7	1,420.0	1,707.4	1,485.1	1,292.1	1,731.5	1,263.2	1,697.9	1,707.5	1,424.4	1,356.2	1,680.6	
	მიმდინარე ხარჯები (მლნ ლარი)	1,303.1	1,256.0	1,934.4	1,185.8	1,226.2	1,413.1	1,350.9	1,377.3	1,277.2	1,510.8	1,158.4	1,312.9	
	კაპიტალური ხარჯები (მლნ ლარი)	248.2	296.6	798.8	193.9	218.0	304.2	230.5	266.1	445.9	327.5	403.4	624.5	

ზრდა
 კლება
 ცვლილება < 1%

ცხრილი N2². ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შედარება გასული წლის შესაბამისი თვის ანალოგიურ მონაცემებთან.

		ოქტ 21	ნოვ 21	დეკ 21	იანვ 22	თებ 22	მარ 22	აპრ 22	მაისი 22	ივნ 22	ივლ 22	აგვ 22	სექ 22	ოქტ 22
რეალური სექტორი	მშპ-ს ზრდის ტემპი													
	დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი													
მონეტარული სექტორი	ინფლაცია													
	მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი													
	დეპოზიტების დოლარიზაცია													
	სესხების დოლარიზაცია													
საგარეო სექტორი	გაცვლითი კურსი													
	გზავნილები													
	ექსპორტი													
	იმპორტი													
	სავაჭრო ბალანსი													
	საერთაშორისო რეზერვები													
ფისკალური სექტორი	შემოსავლები													
	მიმდინარე ხარჯები													
	კაპიტალური ხარჯები													

ცხრილი N3. ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შედარება წინა თვის ანალოგიურ მონაცემებთან.

		ოქტ 21	ნოვ 21	დეკ 21	იანვ 22	თებ 22	მარ 22	აპრ 22	მაისი 22	ივნ 22	ივლ 22	აგვ 22	სექ 22	ოქტ 22
რეალური სექტორი	მშპ-ს ზრდის ტემპი													
	დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი													
მონეტარული სექტორი	ინფლაცია													
	მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი													
	დეპოზიტების დოლარიზაცია													
	სესხების დოლარიზაცია													
საგარეო სექტორი	გაცვლითი კურსი													
	გზავნილები													
	ექსპორტი													
	იმპორტი													
	სავაჭრო ბალანსი													
	საერთაშორისო რეზერვები													
ფისკალური სექტორი	შემოსავლები													
	მიმდინარე ხარჯები													
	კაპიტალური ხარჯები													

² ცხრილ N2 და N3-ში წარმოდგენილი მონაცემები აღებულია ცხრილი N1-დან.